უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა

მოსწავლეთა ქცევის პირველადი მართვის პოლიტიკა

განაცხადი, მოსწავლის ჩარიცხვის თაობაზე, მიიღება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. ჩვენ ვიღებთ მოსწავლეებს, რომელთა აკადემიური, პიროვნული, სოციალური და ემოციური მოთხოვნების დაკმაყოფილება სკოლის პროგრამასა და შესაბამის მომსახურებას შეუძლია.

მოსწავლის ჩარიცხვის შემდეგ სკოლა ვალდებულია მოსწავლესა და მის მშობელს გააცნოს სკოლის შინაგანაწესი; მოსწავლე ვალდებულია, დაემორჩილოს სკოლაში არსებულ შინაგანაწესს და მოსწავლეთა ქცევის კოდექსს; შეატყობინოს სკოლის ადმინისტრაციას მის მიერ ქცევის კოდექსის ნებისმიერი დარღვევისას: სისტემატურად დაესწროს გაკვეთილებს და სკოლის მიერ დაგეგმილ მიზნობრივ ღონისძიებებს; პასუხისმგებლობის თავიდან აცილება და გაკვეთილების თვითნებურად მიტოვება, განიხილება როგორც ქცევის კოდექსის დარღვევა და ითვა-ლისწინებს დისციპლინურ სახდელს; აკონტროლოს საკუთარი მეტყველება, ქცევა და მანერები, არა მხოლოდ სკოლის ტერიტორიაზე, არამედ სკოლის მიერ ორგანიზებული ნებისმიერი ღონისძიების მიმდინარეობისას; გაუფრთხილდეს, არ დაკარგოს და დააბრუნოს ყველა ის ნივთი, რომელსაც სკოლა მას დროებითი სარგებლობისთვის გადასცემს; სასწავლო წლის დასასრულს სასწავლებელს დაუბრუნოს ბიბლიოთეკიდან გატანილი ყველა წიგნი; იყოს თავაზიანი და ყურადღებიანი სხვათა მიმართ. ქცევა ან სიტყვიერი მიმართვა, რომელიც შეურაცხყოფს სხვათა ღირსებას, არღვევს პიროვნების ემოციურ და ფიზიკურ მდგრადობას, ითვლება დისციპლინურ გადაცდომად და ითვალისწინებს სახდელს; სანიმუშო ყოფაქცევის, სწავლაში მიღწეული მაღალი შედეგების და სხვა საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის მოსწავლე დაჯილდოვდეს შინაგანაწესით გათვალისწინებული წამახალისებელი ფორმით.
ქცევის წესები მოსწავლეებში აყალიბებს მისაღები ქცევის ნორმებს. ქვემოთ მოყვანილი წესები გამოხატავს იმ ჩვევებსა და ქცევებს, რომლებსაც ყოველდღიურად ველით ჩვენი მოსწავლეებისაგან. ჩვენ თანმიმდევრულად, ყოველდღიურად ვთხოვთ მათ ამ წესების დაცვას. ქცევის წესების თვითრეგულაციის ფორმაში გადასვლას ხელს უწყობს სკოლაში შექმნილი კეთილგანწყობილი გარემო, რომელიც მუდმივად კონტროლდება სკოლის დამრიგებლისა და სკოლაში უსაფრთხოების დაცვაზე პასუხიმგებელი პირის მიერ.

ნეიტრალურობა და არადისკრიმინაცია

მშობელი უფლებამოსილია, მოითხოვოს სკოლისაგან მისი შვილის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია. სკოლა ვალდებულია, გასცეს დაუყოვნებლივ მის ხელთ არსებულინ ნებისმიერი ინფორმაცია. მშობელს უფლება აქვს დადგენილი წესის მიხედვით მოითხოვოს მისი შვილის შესახებ არსებული დოკუმენტების მიღება.მასწავლებლებს შეუძლიათ მოსწავლის მშობლებთან ელექტრონული ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით ურთიერთობა. სასწავლო პროცესში ჩართვისთანავე თითოეული მასწავლებელი მშობლისთვის ამზადებს წერილს, რომელშიც აღწერს იმ პროგრამას, რომელიც წლის მანძილზე უნდა გაიაროს მოსწავლემ, იმ შეფასებას, რომელიც იქნება გამოყენებული, აღწერს მოსალოდნელ შედეგებს სასწავლო წლის ბოლოს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.თვეში ერთხელ კლასის ხელმძღვანელი აგზავნის მოსწავლის მშობლებთან "საინფორმაციო ფურცელს", (დანართი 1) სადაც საუბარია თითოეული დისციპლინის სწავლებაზე მის კლასში, ახალ ამბებზე, უახლოეს გეგმებზე და სხვ. "საინფორმაციო ფურცელში" დაიბეჭდება საგნის მასწავლებელთა მოკლე წერილებიც. მასწავლებლები სასწავლო წლის განმავლობაში საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდებიან მშობლებს წერილებით, ხოლო ინფორმაციას სკოლაში განვითარებული ახალი ამბების შესახებ მიაწვდიან "საინფორმაციო ფურცლის" საშუალებით.

მოსწავლეთა პოტენციალის სრული გამოვლენა შესაძლებელია პოზიტიურ, უსაფრთხო და მოწესრიგებულ გარემოში. სკოლა მუდმივად ეცდება გამოუმუშავოს მოსწავლეებს ისეთი ქცევის ნორმები, რომლებიც გულისხმობს სკოლის, სკოლის თანამშრომლების, მეგობრებისა და საკუთარი თავის მიმართ პატივისცემას. დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში მასწავლებლები და ადმინისტრაცია თავს მოვალედ ჩათვლის მოახდინოს არასასურველი ქცევის კორექცია. სკოლის მიზანია ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარი საქციელის მიმართ, რაც სკოლის წესების კონტექსტში საკუთარი ქცევის შეფასებაში გამოიხატება.

* არასასურველი ქცევის აღმოფხვრის მიზნით მოსწავლეები თვითონ შეიმუშავებენ გამოსწორების გეგმას. გეგმა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს წერილობით ან ზეპირად და გულისხმობდეს მშობელთა ჩართვას, რაც დამოკიდებულია დისციპლინის დარღვევის სიხშირესა და სერიოზულობაზე.

* მშობელთა მონაწილეობა ასეთ შემთხვევაში ძალზე მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს სკოლაში პოზიტიური კლიმატის შექმნას, მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავებას.

• ყველა მოსწავლეს შეუძლია მოიქცეს პასუხისმგებლობით და გააკეთოს სწორი არჩევანი.

• ისეთი სასკოლო გარემო სადაც მუდმივად მოითხოვენ

შესაბამისი ქცევის ნორმების დაცვის გარანტია არის უსაფრთხო გარემო, სადაც მოსწავლეთა მთელი ყურადღება კონცენტრირებულია სწავლასა და საკუთარ პასუხისმგებლობაზე.

- მასწავლებელთა, დამრიგებელთა და მშობელთა თანამშრომლობა ხელს უწყობს არასასურველი ქცევის აღმოფხვრას მოსწავლეებში
- დისციპლინარული პროცედურების მიზანია:
- დაეხმაროს მოსწავლეებს იმის გაგებაში, რომ თავისუფლება პასუხისმგებლობის გარეშე შეუძლებელია.
- დაეხმაროს მოსწავლეებს ისწავლონ შეცდომებზე.
- დაეხმაროს მოსწავლეებს საკომუნიკაციო, პრობლემის გადაჭრისა და სხვა მნიშვნელოვანი უნარების შეძენაში.

სკოლა გამოიყენებს შესაბამის დისციპლინარულ სანქციას მოსწავლის სკოლიდან რამდენიმე დღით დათხოვნის ან მასთან სასკოლო ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ჩადენილი ქმედება ხელყოფს სკოლის რეპუტაციას ან სხვა მოსწავლეთა კეთილდღეობას.

დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში სკოლა მიიღებს შემდეგ ზომებს:

- სიტყვიერი გაფრთხილება;
- შემდგომი მოქმედების გეგმის შემუშავება;
- პრივილეგიების ჩამორთმევა;
- სკოლის დირექტორთან გამოძახება.

მოსწავლე სკოლაში მხოლოდ მშობლისა და სკოლის ადმინისტრაციის შეხვედრის შემდეგ ბრუნდება, მასზე მონიტორინგს სკოლის დირექტორი განახორციელებს.

სკოლის მოსწავლე უნდა აცნობიერებდეს, რომ ჩვენ ვიჩენთ პატივისცემას, გვაქვს პასუხისმგებლობის გრძნობა და ვიცავთ უსაფრთხოებას.

	მთელი სასკოლო გარემო	საკლასო ოთახი	შემოსასვლელი და დერეფანი	ბილიოთეკა	ეზო	ჯანსაღი პლანეტა
პატივისცემა	გამოიყენე შესაბამისი ხმის დონე. მოიქეცი კეთილსინდის იერად და იყავი თავაზიანი. პატივი ეცი და მოექეცი სხვებს ისე, როგორც გსურს შენ მოგექცნენ ისინი. შეასრულე მითითებები პირველი მოთხოვნისთა ნავე.	იყავი ჩუმად და ვიდრე სხვა ლაპარაკობს. ისაუბრე, მაშინ, როდესაც შენი ჯერია. იმუშავე შენს თანაკლასელებთან ერთად.	ისაუბრე ხმადაბლა. შენობაში შესვლისას მოიხადე ქუდი გაუფრთხილდი ნივთებს დერეფანში. იყავი ზრდილობიანი სხვების მიმართ.	ყოველთვის დაიცავი სიჩუმე; ნუ შეუშლი ხელს მკითხველებს დაიცავი რიგი წიგნის მიღების და დაბრუნების დროს.	ჩართე შენს გუნდში ყველა, ვისაც თამაში სურს. გამოავლინე კარგი სპორტული მანერები. გამოიჩინე თავაზიანობ ადა პატივისცემ ით ესაუბრე სხვებს.	დაელოდე მშვიდად შენს რიგს. ისაუბრე მშვიდი, გაწონასწორებული ხმით. გამოავლინე სუფრასთან ქცევის კარგი მანერები.

	მთელი სასკოლო გარემო	საკლასო ოთახი	შემოსასვლელი და დერეფანი	ბილიოთეკა	ეზო	ჯანსაღი პლანეტა
პასუხისმგებლობა	გაუფრთხილდი პირად, სხვის და სკოლის საკუთრებას. გამოიყენე ყველა მასალა და აღჭურვილობა მიზანმიმართულად. იყავი მომზადებული და ნუ დააგვიანებ.	იყავი მზად სწავლისათვის და ნუ დაიშურებ ძალისხმევას. დასვი შეკითხვები. დაიწყე სწრაფად, ყურადღებით შეასრულე დავალება.	დროულად მიდი დანიშნულების ადგილამდე დროულად გამოცხადდი გაკვეთილზე დაიცავი სისუფთავე დერეფანში.	დააბრუნე წიგნი დროულად გაუფრთხილდი და ნუ დააზიანებ წიგნებს, რათა სხვებმაც შეძლონ მათი გამოყენება. წიგნების შერჩევის დროს იყავი ყურადღებით. სარგებლობის შენდეგ წიგნი აკურატულად მოათავსე თავის ადგილზე.	დატოვე სათამაშო მოედანი დროულად. შეინარჩუნე სისუფთავე, გამოიყნე ნაგვის ურნა. დაიცავი თამაშის წესები.	მოაწესრიგე მაგიდა შენს ირგვლივ. გაუფრთხილდი შენს ფულს და სასკოლო ბარათს. დააბრუნე ლანგარი, თეფშები, ჭიქები, დანა-ჩანგალი მითითებულ ადგილზე. აიღე მხოლოდ საჭმლის ის რაოდენობა, რასაც თვლი რომ შეჭამ.

	ბიბლიოთეკა	ეზო	ჯანსაღი პლანეტა
	ნუ ბიბლიოთეკა	ეზო	ჯანსაღი პლანეტა

1.7. Caucus mediation- თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მედიატორი კონფიდენციალურობის პირობით ხვდება მხარეებს ცალ-ცალკე და სთავაზობს მხარეებს მათ მიერ გამოთქმული შეხედულებების გათვალისწინებით ჩამოყალიბებულ დავის მოგვარების ალტერნატიულ გზებს.

2. მედიატორის როლი

2.1. მედიატორი უნდა მოქმედებდეს სამართლიანად და მიუკერძოებლად მედიაციის პროცესში.

2.2. მედიატორი ეხმარება მხარეებს მოლაპარაკების გზით მიაღწიონ მათთვის მისაღებ შეთანხმებას დავის მოსაგვარებლად შემდეგი მოქმედებების განხორციელებით:

- ეხმარება მხარეებს სადაო საკითბის აღმოჩენა/გამორკვევასა და ჩამოყალიბებაში.
- სადაო საკითხების გადაწყვეტასა და შემცირებაში
- განსაზღვრავს პროცედურას რომელიც მიმართულია დავის სწრაფად,ეფექტურად მოგვარებისკენ.
- ხელმძღვანელობს მოლაპარაკებებს მხარეებს შორის.

2.3. მედიატორმა უნდა წარმართოს მედიაციის პროცესი იმ მეთოდით, რომელიც მისი ღრმა რწმენით დავის დეტალებისა და მხარეთა სურვილის გათვალისწინებით შეესაბამება შექმნილ სიტუაციას.

2.4. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.მედიატორს შეუძლია კომუნიკაცია დაამყაროს მხარეებთან ზეპირსიტყვიერად ან წერილობით, ორივე მხარესთან ერთობლივად ან ინდივიდუალურად. მოიწვიოს შეხვედრა ან შეხვედრები მხარეებთან კონსულტაციის შედეგად შეთანხმებულ ადგილზე.

2.5 მედიატორთან ინდივიდუალური კონსულტაციის დროს გამხელილი ფაქტები კონფიდენციალური უნდა დარჩეს მეორე მხარისთვის,თუ არ არსებობს ინდივიდუალურ კონსულტაციაში მონაწილე მხარის ნათლად გამოხატული თანხმობა ამ ფაქტების გამხელასთან დაკავშირებით.

2.6. მედიატორი არ უწევს მხარეებს იურიდიულ კონსულტაციას და არ არის მათი წარმომადგენელი მედიაციის პროცესში.მხარეებმა თავად უნდა ჩამოაყალიბონ საკუთარი პოზიცია და მიიღონ გადაწყვეტილება მედიაციის პროცესში განსახორციელებელი ნებისმიერი ქმედებისა თუ უმოქმედობის შესახებ.

3. მხარეთა როლი

3.1. მხარეებმა უნდა შეასრულონ ყველა აუცილებელი ქმედება მედიაციის პროცესის სწრაფად,ჯეროვნად და ეფექტურად წარმართვისთვის.

3.2. თითოეული მხარე:

- კეთილსინდისიერად უნდა იღებდეს მონაწილეობას მედიაციის პროცესში.
- ისაუბროს მისთვის განსაზღვრულ დროს და არ შეაწყვეტინოს მეორე მხარეს.
- მიმართოს მეორე მხარეს სახელით.
- არ დაესხას თავს,არ დაადანაშაულოს,არ მიაყენოს შეურაცხყოფა და დასვას კითხვები ბუნდოვანი საკითხების გამოსარკვევად და გასაგებად.
- იმ ფაქტებზე კონცენტრირების ნაცვლად, რაც არ გამოვიდა წარსულში,ყურადღება გადაიტანოს მომავალში განსახორციელებელ ქმედებებეზე.
- დაუყოვნებლივ შეასრულოს მედიატორის ნებისმიერი მითითება პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით.
- მედიაციის პროცესზე პირადად გამოუცხადებლობის შემთხვევაში მედიაციის პროცესზე მხარეს უნდა წარმოდგენდეს პირი რომელსაც აქვს
- ა. პროცედურულ საკითხებზე მოლაპარაკებაში მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება
- ბ. დავის მოსაგვარებლად გამართულ მოლაპარაკებებში მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.

4. მედიატორის შერჩევა

მედიატორი არის სკოლის მიერ შერჩეული პირი, რომელსაც აქვს ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, სასურველია ჰქონდეს სასკოლო საზოგადოებაში მუშაობის გამოცდილება. მოსწავლესთან დაკავშირებული კონკრეტული ფაქტის მედიაციის პროცესში ნებადართულია, მედიატორის რეკომენდაციით ჩაერთოს კლასის დამრიგებელი.

5. მედიატორის აცილება.

თუ მედიატორს სათანადოდ ვერ ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ვერ ასრულებს მედიატორის ფუნქციას ან წარმოიშვა ინტერესთა კონფლიქტი შესაძლებელია მედიატორის აცილება; ასეტ შემთხვევაში სკოლის დირექტორის ინდივიდუალური აქტით ინიშნება ახალი მედიატორი, კონკრეტული კონფლიქტის ამოწურვამდე კონკრეტული საქმისთვის.

6. მოსამზადებელი სხდობა (შეხვედრა)

6.1.თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მედიატორი მათი მონაწილეობით იწვევს მოსამზადებელ სხდომას პირადად ან ვიდეოკონფერენციის სახით. სხდომა(შეხვედრა) ტარდება დავის მედიაციისთვის გადაცემიდან მე-2 დღეს.

6.2. მოსამზადებელი სხდომა იმართება რათა მხარეები(მა) მედიატორის დახმარებით:

- განიხილონ და შეთანხმდნენ სადაო საკითხებზე ან განსაზღვრონ პროცედურა რომლის მეშვეობითაც ეს საკითხები უნდა დაზუსტდეს და შეთანხმდეს.
- დაგეგმონ და შეთანხმდნენ როგორ უნდა წარიმართოს მოლაპარაკებებისა და დავის გადაწყვეტის პროცედურა.აუცილებლობის შემთხვევაში შეათანხმონ დოკუმენტების,ასლებისა და წერილობითი პოზიციების გაცვლის განრიგი და ფორმა.

7. ერთობლივი შეხვედრა

7.1. ერთობლივ შეხვედრას ხსნის მედიატორი შესავალი (გახსნითი) სიტყვით,რომელიც შეიცავს მედიატორისა და მხარეების როლის მოკლე მიმოხილვას.

7.2. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან მედიატორი თითოეულ მათგანს განუსაზღვრავს ზუსტ დროს ,რათა მათ წარადგინონ განაცხადი და ჩამოაყალიბონ თავიანთი შეხედულებები დავასთან დაკავშირებით.

7.3. თუ მედიატორი საჭიროდ მიიჩნევს ის განცალკევებით ხვდება მხარეებს 1.7. პუნქტის წესების მიხედვით.

7.4. მხარეებთან მოლაპარაკების შემდეგ (7.3) მედიატორი სთავაზობს მათ კონფლიქტის მოგვარების განსხვავებულ გზებს.

7.5. მედიატორი წყვეტს მედიაციის პროცესს თუ მიიჩნევს რომ მისი და მხარეთა ცდის მიუხედავად სადაო საკითხებზე შეთანხმება შეუძლებელია.

7.6. თუ შეთანხმება მიღწეულია მედიატორი ეხმარება მხარეებს შეთანხმების წერილობით გაფორმებაში.

8. კონფიდენციალურობა

8.1. მედიაციის ყველა შეხვედრა მათ შორის მოსამზადებელი და ერთობლივი შეხვედრა კონფიდენციალურია და მასში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ მედიატორი,მხარეები და/ან სკოლის დირექტორის მიერ შერჩეული პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ მედიაციის პროცესის ტექნიკურ მხარეს. (თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ)

8.2. ზეპირი ან წერილობითი ინფორმაცია, რომელიც მომზადდა ან გაჟღერდა მედიაციის პროცესის დროს, კონფიდენციალურია .

8.3. აუდიო ან ვიდეო ჩანაწერები რომლებიც აღწერენ მედიაციის პროცესში განხორციელებულ კომუნიკაციას ელექტრონული ან სხვა ფორმით არ გამოიყენება მტკიცებულებად და მედიაციის დასრულებისთანავე ნადგურდება.

9.მედიაციის პროცესის ადგილი

მხარეები ერთობლივად განსაზღვრავენ მედიაციის პროცესის ადგილს.

10. მედიაციის პროცესის ენა

თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მედიაციის პროცესი მიმდინარეობს მხარეებისთვის გასაგებ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია თარჯიმნის მოწვევა.

მედიაციის გეგმა

მიზანი	აქტივობა	ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი პირი
მედიაციის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა	მედიაციის ოთახის აღჭურვა და ალტერნატიული სივრცის განსაზღვრა	მედიაციის ოთახ(ებ)ი მედიაციის ოთახი აღჭურვილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით		სკოლის დირექტორი მნე
ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა	1.პროგრამის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა მედიატორის შერჩევა მედიაციის საკითხებში კონსულტაციებისა და პროგრამის ზედამხედველბაზე პასუხისმგებელი პირის გადამზადება მედიაციაში	მედიაციის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების ხელშეკრულებები მედიაციის საკითხებში კონსულტანტების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი ტრენინგი		სკოლის დირექტორი სკოლის დირექტორის მოადგილე ორგანიზატორი ხარისხის სამსახური
მედიაციის შესახებ ცნობადობის ამაღლება	საინფორმაციო სესიების ჩატარება კონსულტანტების/მედიატორების ჩართულობით	საინფორმაციო სესიებში მონაწილეთა რაოდენობა		სკოლის დირექტორი სკოლის დირექტორის მოადგილე ორგანიზატორი ხარისხის სამსახური

	გამოცდილების მიზნით თანამშრომლობითი მემორანდულის გაზიარება სკოლებთან მოსწავლეებთან კონსულტაციებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება	გაფორმებული მემორანდუმები შეხვედრებში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა		
პროგრამის მონიტორინგი და შეფასება	მედიაციის პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება	მონიტორინგისა და შეფასების გეგმა		სკოლის დირექტორი სკოლის დირექტორის მოადგილე ორგანიზატორი ხარისხის სამსახური
მედიაციის პროგრამის რეგულარული მონიტორინგი	კონსულტანტების/მედიატორების მიერ განხორციელებული მუშაობისსისტემაში შეყვანა მედიაციის პროგრამის ანალიტიკურ-სტატისტიკური წლიური ანგარიშის წარდგენა	მონაცემთა ბაზაში აკუმულირებული ინფორმაცია წლიური ანგარიში		სკოლის დირექტორი სკოლის დირექტორის მოადგილე ორგანიზატორი ხარისხის სამსახური

ძალადობისა და ბულინგის საწინააღმდეგო პრევენციული გაგმა

დოკუმენტის მიზანია უზრუნველყოს სკოლაში ბულინგის შემთხვევების არიდება და აღკვეთა, რაც მასწავლებლის განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა. გამომდინარე იქიდან, რომ მასწავლებლისთვის რთულია ბულინგის პრობლემასთან გამკლავება, დოკუმენტი აზუსტებს ღონისძიებათა ნუსხას ძალადობისა და ბულინგის პრევენციისთვის.

ბულინგის ინიციატორი ბავშვის დახმარება

მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ დახმარება სჭირდება როგორც ბულინგის მსხვერპლს, ისე ბულინგის ინიციატორ, აგრესორ ბავშვსაც. პირველ რიგში, ბავშვის აგრესიული ქცევა არ უნდა აღიქვათ, როგორც ბავშვური სიცელქე, რადგან დროული კორექციის არარსებობის შემთხვევაში ეს შეიძლება ცხოვრების სტილად იქცეს, ყველა აქედან გამომდინარე შედეგით. აგრესიული ქცევის შეცვლა სწორედ ბავშვობის ასაკში შეიძლება.

გულახდილად დაელაპარაკეთ ბავშვს და შეეცადეთ გაარკვიოთ სიტუაცია, რომელმაც მოახდინა სხვა ბავშვების მიმართ აგრესიული ქცევის პროვოცირება. ზოგჯერ აგრესორებად მშობლისგან, სხვა ბავშვისგან, უფროსი და-ძმისგან ძალადობაგანცდილი ბავშვები გვევლინებიან, რომლებსაც თავიანთი წყენა სხვა ბავშვზე გადააქვთ.

დახმარება მიმართული უნდა იყოს არა დანაშაულის ძიებისა და დასჯისკენ, არამედ ბავშვის აგრესიული ქცევის შეცვლისაკენ სოციალურად მისაღები ქცევით. ხშირად აგრესორის დასჯით ჩვენ ვერ ვაჩერებთ მას. მნიშვნელოვანია არა დადანაშაულება, არამედ იმის ჩვენება, რომ აგრესორის ქცევაა მიუღებელი, და არა თავად ბავშვი.

1. მშვიდად, ნათლად, ბავშვისთვის გასაგებად აღწერეთ მისი ქცევა და უთხარით, ბულინგის რა ფორმაა ეს.
2. მშვიდად აუხსენით აგრესორს, თუ რა გავლენას ახდენს სხვა ბავშვებზე მისი ასეთი ქცევა.
3. გაარკვიეთ, რა მოხდა (როგორ ესმის ამ ბავშვს მომხდარი);
4. აუცილებლად უთხარით, რომ ასეთი ქცევა მიუღებელია და შეახსენეთ, როგორ ქცევას ელოდებით მისგან.
5. გააგებინეთ მისი პასუხისმგებლობა და ქცევის შედეგები (შეატყობინებენ მშობლებს, ჩატოვებენ კლასში, გამოუცხადებენ საყვედურს და სხვა);
6. თუ ბავშვი-აგრესორის ქცევის შეჩერებას ვერ ახერხებთ, უკიდურეს შემთხვევაში უნდა ეცადოთ გადაიყვანოთ სხვა სკოლაში (არა მსხვერპლი, არამედ აგრესორი!

მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ კლასის უსაფრთხო გარემო არის საუკეთესო გარემო ბავშვების ეფექტური სწავლებისთვის. კარგი მასწავლებელი:

• გაკვეთილზე ზრუნავს არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაზე, არამედ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე;
• ამჩნევს ბულინგის გამოვლინებებს და სათანადოდ რეაგირებს მათზე;
• ამჩნევს ჯგუფიდან გარიყულ და მოწყენილ ბავშვს;
• არკვევს ბავშვის ასეთი ქცევის ან ემოციის მიზეზებს;
• მხარს უჭერს დაჩაგრულ ბავშვს და ცდილობს ბულინგის შეჩერებას;
• ეხმარება ბავშვს რეაგირების სათანადო საშუალებების პოვნაში, როცა მას ვინმე ჩაგრავს – არ ეუბნება, რომ ბავშვმა უბრალოდ არ უნდა მიაქციოს ამას ყურადღება, ან რომ თავი უნდა დაიცვას და სამაგიერო გადაუხადოს;
• ეხმარება აგრესორ ბავშვს ქცევის შეცვლაში;
• იძლევა სათანადო ქცევის მაგალითს.

რჩევები მასწავლებლებს:

1. გააგებინეთ ბავშვს, რომ თქვენ არავითარ შემთხვევაში არ მოითმენთ მის აგრესიულ ქცევას, მიუხედავად იმისა, თუ ვისზეა ის მიმართული. დააწესეთ სავსებით კონკრეტული და მკაცრი შეზღუდვები, რომლებსაც მიმართავთ ბულინგის გამეორების შემთხვევაში.
2. ასწავლეთ ბავშვს დასახული მიზნების მიღწევის კონსტრუქციული მეთოდები, ამა თუ იმ პრობლემის არაძალადობრივი გზით გადაჭრის წესები და ხერხები. დაამუშავეთ ამგვარი ხერხები თქვენსა და ბავშვს შორის ურთიერთობის მაგალითზე.
3. იყავით პოზიტიური ქცევის მაგალითი. თქვენზე დაკვირვებით, ბავშვი გარემომცველებისადმი კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას, გარემომცველთა პატივისცემას ისწავლის. შექმენით სიტუაციათა მოდელები, რომლებიც იმ სიტუაციათა მსგავსი იქნება, სადაც ბავშვმა აგრესია გამოავლინა. მოახდინეთ პრობლემის გადაჭრის და სასურველი მიზნის მიღწევის სხვა გზების დემონსტრირება, გარემომცველთა მიმართ ფსიქოლოგიური (მუქარა, შეურაცხყოფა) ან ფიზიკური ძალადობისგარეშე.
4. გააძლიერეთ კონტროლი ბავშვზე. იყავით მასთან ახლოს, როცა სხვა ბავშვებთან ერთად თამაშობს. წაახალისეთ მისი მონაწილეობა სპორტულ შეჯიბრებებში, თვითშემოქმედების წრეებში, სხვა კლასგარეშე საქმიანობებში. ამგვარი დატვირთვა ხელს შეუწყობს ბავშვის მოჭარბებული ენერგიის ცივილიზებული და სოციალურად უსაფრთხო გზით დახარჯვას და მნიშვნელოვნად შეამცირებს მის აგრესიულობას.
5. რთულ შემთხვევებში მიმართეთ სპეციალისტ-ფსიქოლოგს. არსებობს სპეციალური მეთოდიკები, რომლებიც დაეხმარება ბავშვს მისი აგრესიული ქცევის მიზეზების გარკვევაში, აგრეთვე ამ პრობლემების მართვისა და რეგულირების სხვადასხვა ხერხის ათვისებაში.

კლასში ბულინგის შემთხვევების განხილვა

კლასში ბულინგის შემთხვევების განხილვისას მნიშვნელოვანია "არაბრალდებითი პოზიციის" დაცვა – არა იმის ძიება, თუ ვინ არის ამ სიტუაციაში დამნაშავე, არამედ იმის გარკვევა, თუ რა მოხდა, რა როლი შეასრულა სიტუაციაში მონაწილე თითოეულმა ბავშვმა. განხილვაში შეიძლება ყველა ბავშვი მონაწილეობდეს – "აგრესორიც", მსხვერპლიც, დამკვირვებლებიც. მაგრამ თუ აგრესორს და მსხვერპლს არ სურთ სიტუაციის განხილვაში მონაწილეობა, მას განვიხილავთ მხოლოდ დამკვირვებლებთან ერთად.

განსახილველი საკითხები:
• რა მოხდა (ვთხოვოთ ბავშვებს გვიამბონ, როგორ აღიქვეს მომხდარი შემთხვევა. მოვისმინოთ ყველა ვერსია).
• რასთან დაკავშირებით და როგორ დაიწყო ბულინგი?
• რა როლს ასრულებდნენ ის ბავშვები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას არ იღებდნენ ბულინგში?
• როგორ შეიძლებოდა ბულინგზე დაკვირვებას გავლენა მოეხდინა "აგრესორ" ბავშვზე?
• რას გრძნობდნენ ბავშვები ბულინგზე დაკვირვების დროს?
• რას გრძნობენ ისინი ამჟამად?
• მათი აზრით რას გრძნობს ის ბავშვი, რომელმაც ბულინგი განიცადა?
• რა შეეძლოთ მათ გაეკეთებინათ ბულინგის შესაწყვეტად?
• რა შეუძლიათ გააკეთონ ახლა იმისთვის, რომ დაზარალებულმა ბავშვმა თავი უკეთ იგრძნოს?
• სხვანაირად როგორ შეუძლიათ მოიქცნენ ანალოგიურ სიტუაციაში? (სხვადასხვა პოზიციაში – აგრესორის, მსხვერპლის ან დამკვირვებლის)?

ბულინგზე დამკვირვებელ ბავშვებთან საუბარი მათ დაეხმარება უკეთ გააცნობიერონ, თუ რა მოხდა, მათი როლი როგორი იყო, და როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო, ასევე, გაითვალისწინონ, თუ როგორ შეუძლიათ მოიქცნენ ანალოგიურ სიტუაციაში. ძალიან მნიშვნელოვანია იმ ბავშვების მხარდაჭერა და წახალისება, რომლებიც ცდილობდნენ ბულინგის შეწყვეტას და მსხვერპლი ბავშვის დახმარებას.

სამუშაო გეგმა

თარიღი	თემა	შეხვედრის სტატუსი	ფისქოლოგი/კლლასის ხელმძღვანელი
დეკემბერი	საერთო კონსულტაცია		
დეკემბერი	„სიკეთე ჩვენშია“	გეგმიური	
დეკემბერი	« მეგობრული კლასი »	გეგმიური	
ყოველთვიურად	საერთო კონსულტაცია		
დეკემბერი	„მახინჯი იხვის ჭუჭული“ ბულინგის პრევენციის ფარგლებში მულტფილმის ჩვენება	გეგმიური	
დეკემბერი	«კონფლიქტები კლასში»	სკოლის დირექციისა და კლ.,ხელმძღვანელთა თხოვნით	
დეკემბერი	პოზიტიური აზროვნება და სიკეთის გამომხატველი სიტყვები,როგორც უხეშობასა და ბილწსიტყვაობასთან ბრძოლის მეთოდი	თხოვნით	
იანვარი	კლასის საათი „ მეგობრობა“ მეთოდი „ ორი ვაშლი“ბულინგის პრევენცია დაწყებით კლასებში.	კლ.ხელმძღვანელის თხოვნით	
იანვარი	ინდივიდუალური შეხვედრები	კლ.ხელმძღვანელი	
იანვარი	პოზიტიური აზროვნების განვითარება, როგორც პიროვნული განვითარების სტიმული	კლ.ხელმძღვანელის თხოვნით	
იანვარი	პოზიტიური აზროვნების განვითარება, როგორც პიროვნული განვითარების სტიმული	გეგმიური	
იანვარი	ჩვენება მულტფილმისა“ მახინჯი იხვის ჭუჭული „ ბულინგის პრევენციის ფარგლებში	გეგმიური	

თებერვალი	პროექტი „აკეთე სიკეთე“	გეგმიური	
თებერვალი	ანკეტირება		
მარტი	„სხეულის ენა“ არავერბალოური კომუნიკაცია	გეგმიური	
ყოველთვიურად	საერთო კონსულტაცია		
მარტი	„სიკეთე სძლებს ბოროტებას“	გეგმიური	
ყოველთვიურად	ინდივიდუალური შეხვედერები	კლ.ხელმძღვანელთა თხოვნით	
საჭიროებისამებრ	საერთო კონსულტაცია	კლ.ხელმძღვანელთა თხოვნით	
ყოველთვიურად	ინდივიდუალური შეხვედრები	კლ.ხელმძღვანელთა თხოვნით	
აპრილი	მსოფლიოს ბავშვები მშვიდობისთვის		
აპრილი	ინდივიდუალური შეხვედრები		
მაისი	ბულინგის პრევენცია სკოლაში.ჭიქების მეთოდი		
მაისი	არა ომს		
ივნისი	რთული ასაკი კითხვა-პასუხი ფსიქოლოგთან	გეგმიური	
ივნისი	ბულინგის პრევენცია სკოლაში მეთოდი „ორი ვაშლი“	კლასის ხელმძღვცანელის თხოვნით	
სექტემბერი	დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ფსიქოლოგიური დაკვირვება		
სექტემბერი	პირველკლასელთა ადაპტაციის დიაგნოსტირება(მეთოდიკა „ხე“, „ხატვა“, აგრეთვე დაკვირვების მეთოდეიკა ,საუბრები, პროექტირებული მეთოდი „ზღაპარი -ჩემი სკოლა, ჩემი კლალსი „)		
სექტემბერი	დაწყებითი კლასების ადაპტაციის დიაგნოსტირება მე-2 - მე -4 კლასები(მეთოდიკა „ხე“,		

	„ხატვა“, აგრეთვე დაკვირვების მეთოდეიკა ,საუბრები, პროექტირებული მეთოდი „ზღაპარი -ჩემი სკოლა, ჩემი კლალსი „)		
სექტემბერი	მზადება პროექტისა „აკეთე სიკეთე“		
სექტემბერი	მზადება პროექტისა ბულინგის პრევენცია“		
სექტემბერი	საერთო კონსულტაცია		